სსმ. კოდი: 190020020.35.121.016455
გამოქვეყნების თარიღი: 14.04.2022

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება N 12
2022 წლის 13 აპრილი
ქ.ვანი

„მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 მარტის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„მაღალი სპორტული შედეგების მქონე სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისების მიზნით ფულადი ჯილდოს დაწესებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 მარტის N9 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 17.03.2022 წელი, 190020020.35.121.016452) დანართში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 1. ფულადი ჯილდო გაიცემა წლის განმავლობაში ამ წესის მე-4 მუხლში მოცემული ადგილის დაკავების შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიაზე ვანის მუნიციპალიტეტის სახელით და საერთაშორისო მასშტაბით საქართველოს სახელით მოასპარეზე ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სპორტსმენებზე, რომლებიც სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებზე, ტურნირებზე, ჩემპიონატებზე და სხვა ასპარეზობებზე წარადგინა:

ა) სპორტის ფედერაციამ;

ბ) ვანის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულმა სასპორტო დაწესებულებამ ან შესაბამისმა ორგანიზაციამ;

გ) შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო პირადი ინიციატივით. “

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ალექსანდრე ლილუაშვილი
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე